საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>ვასილ მშვენიერაძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს რევაზ ნადარაია?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ვასილ მშვენიერაძის

2021 წლის 17 ივნისი
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად რევაზ ნადარაიას წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო რევაზ ნადარაიამ.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 27 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, შესაბამისად, კანდიდატი რევაზ ნადარაია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით რ.ნადარაიას მივანიჭე 93 ქულა.

ზემოაღნიშნული, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულება გასაჩივრდა მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი ქსოვრელის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. 2021 წლის 14 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

ამდენად, როგორც აღმოჩნდა, რევაზ ნადარაია კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც. ზემოაღნიშნული შეფასების შედეგად, დავრწმუნდი, რომ რევაზ ნადარაია სრულად

აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.